



CT 54

SILICATE AERO

სილიკატის საღებავი

ჰიდროფობური, ორთქლ-გამტარი საღებავი შენობების ფასადებისა და ინტერიერისთვის

მახასიათებლები

ორთქლის მაღალ-გამტარიანობა / სუნთქვადი უაღრესად არა-აალებადი ადჰეზიის ჩინებული უნარი სუბსტრატზე BioProtect ფორმულა - ძალზე მდგრადი სოკოების, წყალმცენარეების და ობის წარმოშობის მიმართ წყლის დაბალი შეწოვის ხარისხი მდგრადია დაზიანებისა და ამინდის პირობების მიმართ



გამძლე



გამოყენების ფარგლები

Ceresit CT 54 გამოიყენება ფასადებისა და ინტერიერის შესაღებად. მისი გამოყენება შესაძლებელია მინერალურ სუბსტრატებზე, როგორცაა ბეტონი, ცემენტის ბათქაში, კირ-ცემენტის ბათქაში და კირის ბათქაში. საღებავი მჭიდროდ არის შეკრული სუბსტრატთან ქიმიური რეაქციების შედეგად. რეკომენდირებულია ახალი ბათქაშის შესაღებად: ეს საშუალებას გაძლევთ დაუყოვნებლივ დაიწყოთ სამღებრო სამუშაოები და თავიდან აიცილოთ იმის საფრთხე, რომ ახალი სუბსტრატის ტუტე რეაქციამ შეიძლება დააზიანოს საღებავის საფარი. CT 54 შეიძლება გამოყენებულ იქნას Ceresit CT 34, CT35 და CT 137 მინერალური ბათქაშის, ასევე, Ceresit CT 72, CT 73 სილიკატის ბათქაშის, Ceresit CT 174, CT 175 სილიკატ-სილოკონის ბათქაშის შესაღებად, რომლებიც დაიტანება ტრადიციულ სუბსტრატებზე, ასევე, Ceresit ETICS-ზე (გარე თბოიზოლაციის კომპოზიტური სისტემები). არა-ააღებადი და ორთქლის გამტარიანობის ჩინებული თვისებების გამო, CT 54 რეკომენდირებულია ETICS-ის შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს მინერალურ ბამბაზე, რომელშიც საიზოლაციო მასალას წარმოადგენს მინერალური ბამბის ფილები. ფასადზე მზის ზემოქმედება საშიშ დაჭიმვას იწვევს, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს მუქი ფერები მხოლოდ მცირე უბნებზე, მაგ. არქიტექტურული დეტალებზე. საღებავის ახასიათებს ბიოლოგიური დაბინძურებისგან დაცვის უნარი, მაგ. როგორცაა სოკოები, ობის და წყალმცენარეები, და აქვს მათ მიმართ მაღალი მედეგობა.

სუბსტრატის მომზადება

CT54 საღებავი შეიძლება დაიტანოთ მზიდ, გლუვ, მშრალ და სუფთა სუბსტრატებზე (ნებისმიერი იმ ნივთიერებისგან თავისუფალი, რომელიც ამცირებს ადჰეზიას, როგორცაა ცხიმი, ბიტუმი, მტვერი):

- თხელ-ფენიანი მინერალური ბათქაში (3 დღეზე მეტი ხნის),
- ტრადიციული ცემენტის ბათქაში, კირ-ცემენტის ბათქაში და კირის ბათქაში (14 დღეზე მეტი ხნის),
- ძლიერი საღებავის ფენები სუბსტრატთან კარგი ადჰეზიით (სილიკატი, ცემენტი),
- აგურის კედლები, ბეტონი (28 დღეზე მეტი ხნის),
- თაბაშირის სუბსტრატები (მხოლოდ შენობების შიგნით) 1%-ზე დაბალი ტენიანობის პირობებში, ჯერ Ceresit CT17-ით გრუნტირებით,
- თაბაშირის მუყაო, თაბაშირ-ბოჭკოვანი ფილა / პანელი (მხოლოდ შენობების შიგნით), დაფის მწარმოებლების რეკომენდაციების შესაბამისად, პირველად CT17-ით გრუნტირებით,

- ძლიერი საღებავის ფენები სუბსტრატთან კარგი ადჰეზიით. პირველ რიგში, უნდა შეკეთდეს არათანაბარი და დაზიანებული სუბსტრატები. თაბაშირის შემავსებელი Ceresit CT 29 შეიძლება გამოყენებულ იქნას სარემონტოდ. რეკომენდირებულია არსებული მინერალური ფენების სიძლიერის შემოწმება.

ჭუჭყიანი, დაბალი სიმტკიცის ფენები, კირი და წებოვანი საღებავები, ასევე შპალერის ან წებოს ნარჩენები მთლიანად უნდა მოიხსნას. მინარევების მოსაშორებლად რეკომენდებულია სარეცხი საშუალებები CT 98 აგენტის გამოყენებით, რომელიც აცილებს მინარევებს. წყლით გარეცხვის შემდეგ, სუბსტრატი უნდა გაშრეს.

გამოყენება

საღებავის გამოყენებამდე ჭურჭლის შიგთავსი საგულდაგულოდ უნდა ურიოთ ბურღიანი მიქსერით დაახლოებით 2 წთ. როგორც წესი, საკმარისია ორჯერ შეღებვა. შთამნთქმელი სუბსტრატების შემთხვევაში შესაძლებელია საღებავის შერევა მასზე 10% სუფთა წყლის დამატებით, რომელიც დაიტანება პირველი ფენაზე. მეორე ან პოტენციურად მესამე ფენაზე საღებავი გამოყენებულ უნდა იქნას ყოველგვარი განზავების გარეშე. შემდგომი ფენების დატანას შორის უნდა დავიცვათ 12-დან 24 საათამდე ტექნოლოგიური შესვენება/ინტერვალი. CT54 დატანა შეიძლება ფუნჯით, გორგოლაჭით ან გამფრქვევი მოწყობილობის საშუალებით. მნიშვნელოვანია საღებავის თანაბრად წასმა. დატანა შესაძლებელია შესხურების დანადგარით წნევის ქვეშ, მაგ. Wagner PS 22 ან PS 30, საქშენი 517, წნევა -160-200 ბარი, დანადგარის მწარმოებლურობა - 12ლ/წთ.

არ გამოიყენოთ დაჟანგული კონტეინერები და ხელსაწყოები. ერთ ზედაპირზე მუშაობა უნდა ჩატარდეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე, თითოეულ შეფუთვაზე დაბეჭდილი იმავე ნომრის საღებავის გამოყენებით, ან სხვადასხვა ნომრის მქონე კონტეინერების შემცველობა უნდა იქნეს შერეული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზონა, რომელიც იღებება, საჭიროა დაიფაროს - მაგ.: ფანჯრები, კარები (მაგ. ფოლგით). ასევე დაცული უნდა იქნეს ბუჩქები, სხვა მცენარეები და ა.შ. ნებისმიერი ლაქა დაუყოვნებლივ უნდა ჩამორეცხოს წყლით. ინსტრუმენტები გამოყენების შემდეგ ფრთხილად უნდა გაირეცხოს წყლით.

გაითვალისწინეთ

საღებავის დატანა უნდა განხორციელდეს მშრალ პირობებში - გარემოსა და სუბსტრატის +5 °C- +25 °C ტემპერატურისა და 80%-ზე დაბალი ტენიანობის

პირობებში. საღებავმა შეიძლება გამოიწვიოს გაუფერულება, რომლის მოცილება შეუძლებელია მინის, კერამიკის, ხის, ლითონისა და ქვის ზედაპირებზე, ამიტომ ყველა ელემენტი, რომელიც კონტაქტშია CT54-თან, დაცული უნდა იყოს. მასალა იწვევს უაღრესად ტუტე რეაქციას. დაიცავით კანი და თვალები. საღებავის გამოყენებისას უნდა გეცვათ დამცავი ხელთათმანები და სათვალები. დაბინძურებული ტანსაცმელი დაუყოვნებლივ გაიხადეთ. ლაქები ფრთხილად უნდა ჩამოირეცხოს წყლით. თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში ჩამოიბანეთ წყლით და მიმართეთ ექიმს. პროდუქტი შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

სხვა ინფორმაცია

ეს საღებავი არ უნდა დაიტანოთ ძლიერ მზიან ზედაპირებზე.

შეფუთვა

პლასტმასის კონტეინერები - 3,5 და 15 ლ.

ტექნიკური მონაცემები

ბაზა: სილიკატური ხსნარი ჰიდროფობიური დანამატებით, პიგმენტებით და მოდიფიკატორებით

სიმკვრივე: დაახლ. 1,44 კგ/დმ³

გამოყენების ტემპერატურა: +5 °C-დან +25 °C-მდე

წვიმისადმი მედეგობა:

თეთრი ფერის დაახლ. 12 სთ შემდეგ

სხვა ფერები შემდეგ დაახლ. 24 სთ

სავარაუდო მოხმარება: დამოკიდებულია სუბსტრატის სიგლუვეზე და შთანთქმის უნარზე, საშუალოდ დაახლ. 0,3 ლ/მ² ორი საფარით

წინაღობა გახეხვის მიმართ: DIN 53778-2-ის მიხედვით: > 20000 ციკლის ფენა

წყლის შთანთქმა - EN 1062-1-ის მიხედვით: კატ. W3, w_{0,1} [კგ/მ²სთ0,5]

წყლის ორთქლის გამტარიანობა - EN 1062-1-ის მიხედვით: კატ. V1, Sd_{0,14} მ

ბზინვა: EN 1062-1-ის მიხედვით: კატ. G3, გლუვი

მშრალი ფენის სისქე - EN 1062-1-ის მიხედვით: 100-200 მკმ; კატ. E3

მარცვლეულის ზომა - EN 1062-1-ის მიხედვით: ≤ 100 მკმ, კატ. S1

ბუმტუკების გაჩენის ხარისხი

EN 1062-1-ის მიხედვით: არ აღინიშნება

ბზარების შეფასება - EN 1062-1-ის მიხედვით: კატ. 0, არ აღინიშნება

აქერცვლის ხარისხის შეფასება - არ აღინიშნება: კატ. 0, არ აღინიშნება

ხანძრის კლასიფიკაციის - EN 13501-1-ის მიხედვით:

A1 in:

Ceresit Ceretherm Wool Garage

A2-s1, d0 in:

Ceresit Ceretherm Wool Classic, Ceresit Ceretherm Wool Premium Ceresit Ceretherm Universal MW

B – s1, d0 in:

Ceresit Ceretherm Popular, Ceresit Ceretherm Classic,

Ceresit Ceretherm Premium, Ceresit Ceretherm Universal EPS,

Ceresit Ceretherm Universal XPS

pH: დაახლ. 11,5

შენახვის ვადა/შენახვა: 12 თვემდე დამზადების თარიღიდან, როდესაც ინახება გრილ პირობებში და ორიგინალ დაუზიანებელ შეფუთვაში.

დაიცავით ყინვისგან! დაიცავით მზის პირდაპირი დასხივებისგან!

ამ პროდუქტს ახლავს საცნობარო დოკუმენტები:

- BBA სერთიფიკატი No14/5142

- ირლანდიის შეთანხმების სერთიფიკატი No09/0340

- ევროპული ტექნიკური შეფასება (ETA) სისტემებში:

Ceresit Ceretherm სისტემა	Popular	Classic	Premium	Universal EPS	Universal XPS	Universal MW	Wool Classic	Wool Premium
ETA	08/0309	09/0014	08/0308	13/0535	13/0807	14/0127	09/0026	09/0037
სერტიფიკატი	1488-CPR-0382/Z	1488-CPR--0439/Z	1488-CPR--0363/Z	1488-CPR--0457/Z	1488-CPR-0456/Z	1488-CPR-0362/Z	1488-CPR-0440/Z	1488-CPR-0375/Z
DoP	00426	00420	00428	00433	00434	00435	00424	00430

ეროვნული ტექნიკური შეფასება სისტემებში:

Ceresit Ceretherm სისტემა	Reno	Wool Garage
NTA	ITB-KOT-2018/0472 wydanie 1	15-7956/2016 + დანართები
სერტიფიკატი	020-UWB-0895/Z	ITB-0320/Z
NDoC	00444	00448

გარდა აქ მოცემული ინფორმაციისა, ასევე მნიშვნელოვანია დაიცვათ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სავაჭრო ასოციაციების შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები და რეგულაციები, აგრეთვე, გერმანიის სტანდარტების ინსტიტუტის (DIN) შესაბამისი სტანდარტები. ზემოაღნიშნული მახასიათებლები ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებას და გამოყენებით ტესტირებას. გარანტირებული თვისებები და შესაძლო გამოყენება, რომელიც სცილდება ამ საინფორმაციო ფურცელში მითითებულ გარანტიებს, მოითხოვს ჩვენს წერილობით დადასტურებას. ყველა მოცემული მონაცემი მიღებულ იქნა გარემოსა და მასალის +23°C ტემპერატურისა და 50% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სხვა კლიმატურ პირობებში გამკვრივება შეიძლება დაჩქარდეს ან შეფერხდეს.

აქ მოცემული ინფორმაცია, კერძოდ, რეკომენდაციები ჩვენი პროდუქციის დამუშავებისა და გამოყენების შესახებ, ეყრდნობა ჩვენს პროფესიულ გამოცდილებას. ვინაიდან მასალები და პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეული სავარაუდო გამოყენების მიხედვით და, შესაბამისად, აღნიშნული სცდება ჩვენი გავლენის სფეროს, ჩვენ დაბეჯითებით გირჩევთ, რომ თითოეულ შემთხვევაში ჩაატაროთ სათანადო ტესტები, რათა შეამოწმოს ჩვენი პროდუქტების ვარგისიანობა მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. იურიდიული პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს ამ მონაცემთა ფურცლის შინაარსის ან რაიმე სიტყვიერი რჩევის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ჩვენი მხრიდან ადგილი არ ექნება განზრახ არამართლზომიერ ქმედებას ან უხეშ დაუდევრობას. ტექნიკური მონაცემების ეს ფურცელი ანაცვლებს ამ პროდუქტთან დაკავშირებულ ყველა წინამორბედ გამოცემას.



Henkel CEE

Erdbergstrasse 29

1030 ვენა www.ceresit.com

Quality for Professionals